

## საქართველოს კანონი

### “პაციენტის უფლებების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** “პაციენტის უფლებების შესახებ” საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი I, 2000 წელი, №19, მუხ. 49) X თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი X

#### წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი პირის უფლებები

მუხლი 45.

1. სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი პირისათვის ხორციელდება სახელმწიფო სამედიცინო პროგრამების საშუალებით.

2. წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებისთანავე პირს უფლება აქვს მითხოვოს სათანადო სამედიცინო გამოკვლევა, დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება და საჭიროებისას – სამედიცინო მომსახურება.

მუხლი 46.

წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი პირი სარგებლობს ამ კანონით გათვალისწინებული ყველა უფლებით.

მუხლი 47.

წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციას შეუძლია შეზღუდოს წინასწარი პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი პირის უფლება – აირჩიოს სამედიცინო მომსახურების გამწვევი. ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.”.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს 2007 წლის პირველი აგვისტოდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი